

ქცევის მართვა და
დადებითად აღზრდის
პრინციპები



ძვირფასო მშობლებო!
ბავშვების აღზრდა ხანგრძლივი პროცესია, რაც
მოითხოვს დიდ მოთმინებას წარმატებული შედეგის
მისაღწევად, ამაში განსაკუთრებული როლი გენიჭებათ
თქვენ და ოჯახის დანარჩენ წევრებს.



ბტმშოტაში მოგაწვდით თქვენთვის სასარგებლო ინფორმაციას

დადებითად აღზრდა



ბავშვთან ემოციური კავშირი:

- * გიყვარდეთ ბავშვი უპირობოდ;
- * მნიშვნელობა მიანიჭეთ ბავშვის პიროვნებას, შეაფასეთ მათი საქციელი და არა
- * კარგი საქციელისთვის წახალისეთ სხვადასხვა საშუალებებით (თვალთ კონტაქტი, ჩახუტება, შექება და ა.შ.)

ბავშვის ინტელექტუალური საჭიროებები:

- განვითარდით მათთან ერთად მათი საჭიროებების გათვალისწინებით;
- განავითარეთ ბავშვის შემოქმედებითი უნარჩვევები, ჩართეთ ასაკის შესაბამის საქმიანობებში.
- ესაუბრეთ გარემოსამყაროზე.



პატივისცემის თვისების ფორმირება ბავშვებში:

- შექმენით ისეთი ატმოსფერო, რომელიც დაეხმარება ბავშვს ისწავლოს როგორ იმოქმედოს და აკონტროლოს საკუთარი ქცევა (კონსტრუქციული დისციპლინა).
- ასწავლეთ ისეთი ცნებები როგორც არის : "კარგი" და "ცუდი", "მართალი" და "მტყუანი".
- ასწავლეთ სოციალური ქცევის ნორმები(საკუთარ თავზე ზრუნვა, სხვების დახმარება)

მშობლები როგორც მისაბაძი პიროვნებები:

- მშობლები ქმნიან გენდერული როლის კონცეფციას ბავშვებში(ბიჭი, გოგო, მდედრობითი და მამრობითი).
- მშობლები ქმნიან ჯანსაღი ურთიერთობების მოდელს ოჯახში (დედა, მამა, ძმები, დები, ბებია, ბაბუა).
- მშობლები აყალიბებენ ბავშვის კანონმორჩილი ქცევის მოდელს.
- მშობლები აყალიბებენ ჯანსაღი ცხოვრების წესს ბავშვებში.



ქცევის მართვა



ქცევის წესების შედგენა

ბავშვისთვის აუცილებელია ოჯახში არსებული ქცევის წესების გაცნობა. წესების დაცვა არა მარტო მშობლების ცხოვრებას გააუმჯობესებს, არამედ ბავშვსაც ამზადებს მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის.

წესები უნდა იყოს უცვლელი!

წესები უნდა შეესაბამებოდეს ლოგიკას და იყოს გასაგები!

თქვი «არა» გაბრაზების გარეშე!

▪ აკრძალვა „არა“ უნდა იყოს იშვიათი, ზუსტად განსაზღვრული და უკომპრომისო.

▪ სასურველის მისაღებად ბავშვის მხრიდან მოწყობილ ისტერიას შეხვდით დაგეგმილი იგნორით;

▪ არ მიაქციოთ ყურადღება. არ ეჩხუბოთ, არ გაუწიოთ წინააღმდეგობა და არც ანუგეშოთ. უბრალოდ დაელოდეთ ისტერიის დასასრულს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვები თქვობენ, რომ ისტერია არის ერთადერთი გზა, რომ მიიღონ ის რაც მათ უნდათ და რეგულარულად შეეცდებიან ისტერიის მოწყობას მიზნის მისაღწევად.

▪ არ დაივიწყოთ პატიოსნება და სამართლიანობა. თუ რაიმე შეცდომებს დაუშვებთ, უბრალოდ აღიარეთ ისინი.

▪ დარწმუნდით, რომ თქვენი მოთხოვნები არ ეწინააღმდეგება ოჯახის სხვა წევრების მოთხოვნებს.

▪ იმ შემთხვევაში, თუ წესს არღვევთ რაიმე მისაღები მიზეზით, არ უნდა დაგავინყდეთ რომ აუხსნათ ეს თქვენს შვილებს.

▪ აჩვენეთ კარგი მაგალითი შვილებს.
ბავშვები სწავლობენ თქვენს მაგალითზე;





უსიამოვნო, არასასურველი და მავნე ქცევები

შესაძლოა ბავშვს ახასიათებდეს არასასურველი და მავნე(ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი) ქცევები, რომელიც ზიანს აყენებს როგორც გარშემომყოფებს ისე თვითონ მას.

მავნე ქცევა

- არასაკვები ნივთიერებების ჭამა (პიკა)
- რაიმე ნივთის ყურში ან ცხვირში ჩადება
- საკუთარ თავზე ან სხვებზე ზიანის მიყენება



არასასურველი ქცევა

- საკუთარ გენიტალიებზე შეხება
- ყვირილი
- ტანტრუმი
- არაადეკვატური ემოციები
- სტერეოტიპული ქცევები

სპეციფიკური მიდგომა დასწავლილი და განვითარებული არასასურველი ქცევების მართვისთვის

ზოგადად, უჩვეულო(არასასურველი) ქცევა გრძელდება რაღაც პერიოდით და გარკვეული დრო სჭირდება მას ჩასაქრობად. თქვენ შეგვიძლიათ შეიმუშაოთ სტრატეგიები რათა თავიდან იქნას აცილებული უჩვეულო (არასასურველი) ქცევა.

ქცვის მართვის სტრატეგიები:

1. დააკვირდით ბავშვის უჩვეულო(არასასურველი) ქცევას;
2. შეისწავლეთ გარემოთაქტორები, ქცვის გამომწვევი მიზეზები;
3. განსაზღვრეთ რას იღებს(რისი მიღება/გამოხატვა სურს) ბავშვი ამ კონკრეტული ქცვის განხორციელების შემდეგ;

**ბავშვის ქცევა დაყავით ნაბიჯებად:
წინაპირობა-ქცევა-შედეგი;**

4. ქცვის აღმოსაფხვრელად შეცვალეთ წინაპირობა ან შედეგი;
5. ბავშვის მიერ გამოვლენილ არასასურველ ქცევას შეხვდით იგნორით და დაარწმუნეთ, რომ ასეთი ქცევით ვერ მიიღებს სასურველ შედეგს;
6. სასურველი ქცვის განხორციელების შემთხვევაში გამოიყენეთ პოზიტიური გამამტკიცებლები: შექება, თვალით კონტაქტი, ყურადღება, შეხება/ჩახუტება;
7. დასწავლილი სასურველი ქცვის გენერალიზება.

ნაბიჯი 1. შეათვალეთ რა გარემოთაქტორები ახდენს გავლენას ბავშვის ქცევაზე ყურადღება მიაქციეთ, რა ხდება ბავშვის ირგვლივ და რა არის არასწორი მასთან მიმართებაში, რატომ გრძნობს თავს არაკომფორტულად.

ნაბიჯი 2: თქვენი დაკვირვებით, ეცადეთ დაადგინოთ ის მიზეზები, თუ რატომ იქცევიან ბავშვები ასე(რისი მიღება ან გამოხატვა სურს ბავშვს).

ნაბიჯი 3: ჩამოაყალიბეთ ის სასურველი ქცევები, რაც გსურთ, რომ ბავშვმა და ისწავლოს და განახორციელოს. განსაზღვრეთ ამოცანები ბავშვის აუცილებელ საჭიროებებზე და განვითარების დონეზე.

ნაბიჯი 4: შეაქეთ ბავშვი ყოველთვის , როცა ავლენს სასურველ ქცევას. ყოველთვის შეაქეთ და დააჯილდოვეთ ბავშვი კარგი საქციელისთვის. დააჯილდოვეთ დაუყოვნებლივ, თუ ისინი მოქმედებენ ისე, როგორც თქვენ გსურთ.

ჯილდო შეიძლება იყოს ქება, ჩახუტება, სპეციალური ნებართვა (რა თქმა უნდა, შესაძლებლობა ითამაშოს მისი საყვარელი სათამაშოებით) ან მისცეთ მისთვის საყვარელი საკვები

ყოველთვის დააჯილდოვეთ "კარგი" ქმედებები, უგულებელყავით

"ცუდი" ქმედებები

ეს არის კონკრეტული მიდგომის გასაღები

ნაბიჯი 5. მიეცით ბავშვს სტრუქტურირებულ გარემოში დასწავლილი სასურველი ქცევის ბუნებრივ გარემოში (სხვა გარემოში) გენერალიზების საშუალება..



აგრესიული ქცევა

რჩევები ბავშვებთან ურთიერთობისას, როდესაც ისინი აგრესიულ ქცევას ახორციელებენ.

- * სკადეთ ყურადღება სხვა რამეზე გადაატანინოთ;
- * დააკავეთ ბავშვი სხვადასხვა შემოქმედებითი თამაშებით და აქტივობებით;
- * შეაქეთ ბავშვი მხოლოდ პოზიტიური ქცევის განხორციელების შემდეგ და იზნორი გაუწიეთ ნეგატიურ ქცევებს;
- * შეიმუშავეთ ყოველდღიური საყოფაცხოვრებო წესები და იყავით თანმიმდევრულები;
- * ასწავლეთ ჯერის დაცვა და ნივთების გაზიარება;
- * შეინარჩუნეთ სიმშვიდე და აჩვენეთ ბავშვს რომ აგრესიული ქცევით სასურველს ვერ მიიღებს;
- * იყავით მაგალითი თქვენი შვილისთვის. არ გამოხატოთ ემოცია ყვირილით ან კრიტიკით, რადგან თქვენი შვილი თქვენ მოგბაძავთ.
- * მიაჩვიეთ აკრძალვას, მიახვედრეთ, რომ ყველაფერი ნებადართული არ არის.

უბრალოდ უგულვებელყავით ქცევა და არა ბავშვი !

